

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“-ს საგაზეთო ჩანართი №7 - 2020 წელი

თვითმმართველობა

ინფორმაცია

მოგზადავლია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მიხედვით

2020 წლის ბიუჯეტის სრული ვერსია იხილეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე www.oz.gov.ge



პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკაციის კოდი - 06.00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის ბიუჯეტი
1 800 000 ლარი

პროგრამა 06.01

ჯანდაცვის პროგრამები

პროგრამის ბიუჯეტი:
130 000 ლარი



პროგრამა 06.02

სოციალური პროგრამები

პროგრამის ბიუჯეტი:
1 670 000 ლარი

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

- ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმარტოვებულ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;
- ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის;
- ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსა-შიშროებისას;
- ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამის განმარტოვებული - ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამა 06.02.01

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:
60 000 ლარი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 100000-დან და 150 001-მდე, ყოველთვიურად დახმარება გაენევა თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით. ოთხშვილიან ოჯახს ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას ეხსნება დახმარება.

პროგრამის განმარტოვებული - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური

ქვეპროგრამა 06.02.02

დღის ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 45 000 ლარი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანდაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით. ქვეპროგრამის მიზანია დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ კომუნალური ხარჯების დაფარვაში დახმარება. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „მომავლის სხივის“ დაფინანსება ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 150 ლარისა, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ ერთ ბენეფიციარზე გათვლილი განუვლილი მომსახურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. სოციალური საცხოვრისის (ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლი) მოზინადრეთა მიერ გახარჯული ბუნებრივი აირის თანხის ანაზღაურება, წარმოდგენილი მოხმარებული კომუნალური მომსახურების დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე, თანხის ჩარიცხვით მომსახურების მიმწოდებელთან, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

პროგრამის განმახორციელებელი - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური

ქვეპროგრამა 06.02.03

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 15 000 ლარი



პროგრამა მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება. დახმარება გულისხმობს ბენეფიციარებისათვის წელიწადში 4-ჯერ (კვარტალში ერთხელ) მატერიალურ დახმარებას, თითოეულ ჯერზე 400 ლარის ოდენობით.

პროგრამის განმახორციელებელი – განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას, კერძოდ:

- მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 15001-მდეა და უფლება აქვთ მიიღონ ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში ერთხელ პირად ანგარიშზე ჩარიცხვით ან უნაღდო ანგარიშსწორებას მედიკამენტებზე ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩარიცხვით (მათი არჩევანით), უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს ბენეფიციარის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

- მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150001-მდეა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს

ქვეპროგრამა 06.02.04

მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 280 000 ლარი

და შშმ ბავშვებს (18 წლამდე), უფლება აქვთ მიიღონ სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა უნაღდო ანგარიშსწორებით, კერძოდ:

- ა) იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% ნაკლებია ან ტოლი 150 ლარის, დაფინანსება მოხდება სრულად;
- ბ) იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% მე-

ტია 150 ლარზე, მაშინ დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) თანაგადახდის ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40%-ის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი. თუ არ არსებობს თანაგადახდა, ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, ასეთ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.

პროგრამის განმახორციელებელი – განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური